„საერთაშორისო სახლი“ 1995 წლიდან პირველი ინგლისური წიგნის მაღაზიაა საქართველოში. მაღაზიაში შეგიძლიათ შეიძინოთ თქვენთვის საჭირო სასწავლო, მეთოდური თუ მხატვრული ლიტერატურა. „საერთაშორისო სახლს“ ამარაგებს ბრიტანეთის წამყვანი გამომცემლობები, როგორიცაა: „პიარსონი“, „პინგვინი“, „ჰარპერ კოლინზი“, ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტების გამომცემლობები.



საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაცია

მისამართი: რუსთაველის გამზირი N 40; თბილისი,
საქართველო
ტელ: +995 322 93 29 12; +995 577 75 11 77
ელ. ფოსტა: gvasaliamanana@yahoo.com
საკონტაქტო პირი: მანანა გვასალია

მწიგნობართა ასოციაცია დაარსდა 1974
წელს. მისი ძირითადი საქმიანობაა
ქართული და უცხოური გამოცემების
პოპულარიზაცია. ასოციაცია დაარსებიდან
დღემდე გამოსცემს მინიატიურულ წიგნებს,
ძირითადად, კლასიკოსთა ნაწარმოებებს.



საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია

მისამართი: გუდიაშვილის ქ. N 7;
თბილისი, საქართველო
ტელ: +995 322 97 16 55; +995 577 43 64 78
ელ. ფოსტა: mariamiashvili@yahoo.com
საკონტაქტო პირი: რუსუდან ასათიანი
გებგვერდი: www.gela.org.ge

MIUSA

მისამართი: საჭილაოს ქ. N 5;
თბილისი საქართველო
ტელ: +995 555 40 67 05
ელ.ფოსტა: nino_sultanishvili@hotmail.com
საკონტაქტო პირი: ნინო სულთანიშვილი

ორგანიზაცია დაარსდა 2016 წელს.
მინიჭებული აქვს მცირე ბიზნესის სტატუსი,
ძირითადი საქმიანობაა ხელნაკეთი
ნივთების დამზადება-რეალიზაცია.



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

მისამართი: გუდიაშვილი ქ. N 7;
თბილისი, საქართველო
ტელ: +995 322 97 12 21; +995 595 71 51 44
ელ. ფოსტა: gsabanadze@nplg.gov.ge
საკონტაქტო პირი: გიორგი საბანაძე
ვებგვერდი: www.nplg.gov.ge

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა არის საქართველოს ძირითადი სამეცნიერო ბიბლიოთეკა, რომელშიც დაცულია საქართველოს ბეჭდვითი გამოცემები და სხვა დოკუმენტები; ეროვნული ბიბლიოგრაფიის, ინფორმაციის, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების, ბიბლიოთეკების მეთოდური საქმიანობის და კულტურის ცენტრი; აგრეთვე ამ სამუშაოების კოორდინატორი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან ერთად. განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გამო ეროვნული ბიბლიოთეკა ექვემდებარება საქართველოს პარლამენტს.



„ქარჩხაძის გამომცემლობა“

მისამართი: ვაჟა-ფშაველას გამზირი, VII კვ. N 17/6;
თბილისი, საქართველო
ტელ: +995 322 51 45 27
ელ. ფოსტა: info@karchkhadze.ge
საკონტაქტო პირი: გია ქარჩხაძე
ვებგვერდი: www.karchkhadze.ge

ქარჩხაძის გამომცემლობა გამოსცემს საბავშვო წიგნებს, მხატვრულ და არამხატვრულ ლიტერატურას, ენციკლოპედიებსა და ატლასებს; ქართულ და უცხოურ პროზას და პოეზიას; ხელოვნების და კულტურული მემკვიდრეობის ალბომებსა და კულინარიულ წიგნებს.



წიგნების მაღაზიათა ქსელი „ბიბლუსი“

მისამართი: იოსებოძის ქ. N 27;
თბილისი, საქართველო
ელ. ფოსტა: biblusi@biblusi.ge
საკონტაქტო პირი: მარიამ წამალაშვილი
ვებგვერდი: www.biblusi.ge

წიგნების მაღაზიათა ქსელი „ბიბლუსი“ დაარსდა 2008 წლის 23 მაისს. კომპანიის არსებობის თითქმის 8 წლის მანძილზე „ბიბლუსმა“ შეძლო შეექმნა საქართველოში საგამომცემლო პროდუქტების ყველაზე ფართო სავაჭრო ქსელი, რომელიც აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს და სარგებლობს მრავალრიცხოვანი მომხმარებლის დამსახურებული ნდობით. დღეისათვის მომხმარებელს ემსახურება „ბიბლუსის“ 51 ფილიალი მთელი ქვეყნის მასშტაბით.

წიგნის მაღაზია „შაქრო ბაბუა“

მისამართი: ჭავჭავაძის გამზირი N 17 ბ;
ტელეფონი: +995 322 47 55 35; +995 595 38 48 47
ელ.ფოსტა: ninokatsiashvili@gmail.com
საკონტაქტო პირი: ნინო კაციაშვილი
ვებ გვერდი: <https://www.facebook.com/ShakroBabua/>

წიგნის მაღაზიაში ფართოდ არის წარმოდგენილი საქართველოში არსებული გამომცემლობების წიგნები. ძირითადად მოიცავს 2000 წლიდან ამ დრომდე გამოცემულ ლიტერატურას, როგორც მხატვრულს, ასევე სამეცნიეროს. ამასთან ერთად, წარმოდგენილია ლიტერატურა სხვადასხვა ენებზე, მათ შორის ეროვნული უმცირესობების (აზერბაიჯანული). წიგნის მაღაზია თავის სივრცეში ორგანიზებას უწევს მრავალ ქართველ და უცხოელ ავტორთან შეხვედრას, სატარო ლექციას თუ წიგნის პრეზენტაციას.



წიგნის მაღაზია „წიგნები ვაკეში“

მისამართი: ფალიაშვილის ქ. N 66;
თბილისი, საქართველო
ტელ: +995 322 23 29 80
ელ. ფოსტა: info@booksin.ge; mariamkik@yahoo.com
საკონტაქტო პირი: მარიამ კიკაჩიშვილი

„წიგნები ვაკეში“ დაარსდა 2009 წელს.
„წიგნები ვაკეში“ არის წიგნების მაღაზია,
რომელშიც წარმოდგენილია ქართული
და უცხოური გამოცემები ნებისმიერი
ასაკისათვის, საკანცელარიო პროდუქცია,
საბავშვო საჩუქრები. მიიღება კერძო
შეკვეთები ქართულ, რუსულ და ინგლისურ
წიგნებზე. ყველა საჭირო წიგნი ერთ
მაღაზიაში.



ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო

მისამართი: ზოვრეთის ქ. N 38;
თბილისი, საქართველო
ტელ: +995 322 38 04 67/68
ელ. ფოსტა: info@ge.boell.org
საკონტაქტო პირი: თამარ შვანგირაძე

ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი მწვანე
პოლიტიკური ფონდია და ის გერმანიის
ბუნდესტაგში წარმოდგენილი პარტიის
„კავშირი 90/მწვანეები“ პოლიტიკურ
ღირებულებებს იზიარებს. მსოფლიოს
მასშტაბით ფონდი ეწევა და მხარს უჭერს
აქტივობებს პოლიტიკური და სამოქალაქო
განათლების სფეროში. სამხრეთ კავკასიაში
ფონდი 14 წელია აქტიურად მუშაობს
დემოკრატიის, მდგრადი განვითარებისა და
ადამიანის უფლებების საკითხებზე.



Baltic Optics

Exlibris Arts & Crafts

მისამართი: წინამძღვრიშვილის ქ. N 110;
თბილისი, საქართველო
ტელ: +995 322 35 99 83
ელ. ფოსტა: info@balticclinic.ge;
საკონტაქტო პირი: ლალი ჩხაიძე

მისამართი: დავით ბაქრაძის ქ. N 6,
მე-2 სართული; თბილისი, საქართველო
ტელ: +995 322 30 70 11; +995 555 55 29 67
ელ. ფოსტა: nato.tsaava@gmail.com
საკონტაქტო პირი: ნატა ცააბა

ლიტგური ოპტიკური მაღაზიების ქსელი
baltic optics გათვალისწინებულია და ოპტიკური
სათვალეების ფართო არჩევანს, კონტაქტურ
ლინზებს, ლინზების მოსაგლეხ ხსნარებს,
ჰიგიენურ საშუალებებს, აქსესუარებს,
თვალის წვეთებსა და ექიმ ოფთალმოლოგის
მომსახურებას უახლესი ტექნოლოგიის
გამოყენებით. Baltic Optics 2013 წლიდან
თანამშრომლობს კომპანია „კავიტასთან“,
რომელიც „საფილო“ ჯგუფის ოფიციალური
წარმომადგენელია ამიერკავკასიაში და
აერთიანებს მსოფლიოში ცნობილ მზისა და
ოპტიკური სათვალეების ბრენდებს.

„ექსლიბრისი“ დაარსდა 2012 წელს. კომპანიის
ძირითადი მიმართულება არის ქართული
ხელოვნების პოპულარიზაცია სუვენირების
წარმოება-რეალიზაციის გზით. ჩვენი, 100%
ნატურალური და ეკოლოგიურად სუფთა
ჩანთები ყველაზე მომგებიანი კაპიტალ-
დაბანდება იქნება თქვენი კომპანიის
სარეკლამო მიზნებისთვის. დღეს ნატურალური
ქსოვილისგან დამზადებული აქსესუარები,
კერძოდ კი, მრავალჯერადი ქსოვილის
ჩანთები ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნილი
პროდუქტია. ასეთ ჩანთას დიდი სიამოვნებით
გამოიყენებენ როგორც თქვენი კლიენტები,
აგრეთვე თანამშრომლებიც. გახადეთ თქვენი
კომპანიის ლოგო ცნობადი.

რეცენზია

- **ჩხერკეთელაშვილი**
ზურა აბაშიძე
- **თათრების უღებნო**
გიორგი შაქარაშვილი
- **ეფრიკელები**
გვანცა მბალთბლიშვილი
- **გაიკლ კეის სახელით**
თემუკა ზოიძე
- **„თან საკითხავი“ წიგნი ყველასთვის**
თამარ კვარაცხელია



ირვინ უელში ჩხარკეთელაოზა

მთარგმნელი:
თამარ ჯაფარიძე
**ბაკურ სულაკაურის
გამომცემლობა**

„რას აკეთებთ, ბავშვებო? აქ, ძველ სადგურზე, მატარებლების სათვალთვალოდ მოხვედით, თუ ყოფილ საწყობში საჩხერკეთელაოდ?“

„საუკეთესო რამ, რაც წლების განმავლობაში მომხდარა ბრიტანულ მწერლობაში“ – ასე შეაფასა ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ თავის დროზე ირვინ უელშის სადებიუტო რომანი. რომანის გამოცემის დღიდან აზრი ორ ნაწილად გაიყო, ერთ მხარეს ძალიან მოსწონდა ეს პროვოკაციული ხულიგნობა ავტორისგან, მეორე მხარე აპროტესტებდა ამ წიგნის არსებობას, იმასაც ამბობენ, რომ ბუკერის პრემიის მოკლე სიაში რომანის ვერ მოხვედრა ნაწარმოების თემატიკამ განაპირობაო. წიგნის წარმატება ერთიორად გაზარდა ფილმის გამოსვლამ, რომელშიც მთავარ როლს იუან მაკგრეგორი ასრულებს. ფილმიც ზუსტად ისეთივე ხმაურიანი იყო, როგორც წიგნი, ამერიკული პრემიერის დროს ზოგი სცენა საერთოდ ამოჭრეს ფილმიდან, შოტლანდიური აქცენტის და სლენგის გამო კი მსახიობებს ხელახლა მოუწიათ პირველი ოცი წუთის გახმოვანება და ასე შემდეგ. გაუჩერებლად შეიძლება ლაპარაკი, რა ხმაური გამოიწვია ამ რომანმა მსოფლიოში, მაგრამ ფაქტი ერთია, ოთხი მეგობრის ნარკოისტორია დღესაც ძალიან ბევრ მკითხველს აინტერესებს და აგერ უკვე ოც წელზე მეტია, წიგნი არ კარგავს აქტუალურობას, პირიქით, ავტორი ისევ აგრძელებს ისტორიებს წერას რენტონზე, ბეგბიზე, თიშიკოზე და ქლიავაზე, ბოლო რომანი ამ სერიიდან 2012 წელს გამოვიდა ბრიტანეთში, გადაიღეს მეორე ფილმიც და წიგნი უკვე საკულტოც კი გახდა თავის ჟანრში.

ეს ყველაფერი კი ძალიან ადრე დაიწყო, 90-იანი წლების დასაწყის-

ში შოტლანდიელმა ავტორმა ირვინ უელშმა გადაწყვიტა, დაეწერა პროვოკაციული და ყველა აქამდე არსებული ნორმისგან დაცლილი რომანი, მოეთხრო ისტორიები ნარკოდამოკიდებული ადამიანების ცხოვრებიდან. ისიც ცნობილია, რომ ავტორი თვითონაც მოიხმარდა ნარკოტიკებს, რამაც საბოლოოდ განაპირობა რომანის ასეთი სახით არსებობა – შეუფარავით, სასტიკით და გულსამრევით. ირვინ უელში დიდი ხულიგანი ტიპი აღმოჩნდა, მან ძალიან კარგად გათვალა, რა გააღიზიანებდა მკითხველთა საზოგადოებას და ზუსტად გაარტყა მიზანში, აღწერა მწარე ცხოვრება ნარკოდამოკიდებული ადამიანებისა და აღწერა ძალიან ზუსტად, ზედმეტი შეფასებებისა და რომანტიზების გარეშე.

რომანში, როგორც ზემოთ ვთქვი, მოქმედება ოთხი მეგობრის გარშემო ვითარდება, ისინი ედინბურგში ცხოვრობენ. 20-30 წლამდე ოთხი ბიჭის საზარელი ცხოვრება, რომელიც სავსეა ნარკოტიკებით, ალკოჰოლით, სექსით. ისინი ძალიან ღრმად არიან ჩაძირული ბინძურ სამყაროში, სადაც არ არსებობს წესები, კანონები, ძალიან ხშირად ივიწყებენ ადამიანებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანს – მორალს, არ ემორჩილებიან არანაირ წესრიგს და საზოგადოებრივ ნორმებს, არ აშინებთ არაფერი, გარდა წამლის უქონლობისა, მათი ცხოვრება აზრს გაჩხერის დროს იძენს და ლომის დროს კარგავს. და სანამ ძალღური გზებით ისევ არ იშოვიან გასაჩხერს, ყველაფერი ბნელდება, ტკივილისა და სასოწარკვეთისგან წმუტუნებს ადამიანი.

რომანში მოთხრობილია მათი ყოველდღიურობა, წარსული, ოჯახის წევრების დამოკიდებულება ამ ადამიანების მიმართ. ხან სევდიანად, ხან

სასტიკად აღწერილი იმაზე უფრო სასტიკი რეალობა, ვიდრე ჩვენ წარმოგვიდგენია; აღწერილია ბიჭების მეგობრობა, რომელიც სინამდვილეში სულაც არ არის მეგობრობა, ამას თვითონაც ხვდებიან, მაგრამ უკვე სულერთია მათთვის, მთავარია, კიდევ ერთი დოზა შეუშვან ვენაში, ან ღმერთმა იცის სად, იქნებ პენის-შიც კი.

რომანის კითხვის დროს სხვადასხვა ემოცია გიჩნდება პერსონაჟების მიმართ. უნდა გაგაფრთხილოთ, გვერდზე გადადეთ ის მცდარი წარმოდგენები, თითქოს კარგი რომანი უნდა გვასწავლიდეს, როგორ ვიყოთ სწორი და კარგი ადამიანები. „ჩნერკეთელაობაში“ ყველაფერი სულ პირიქითაა, ავტორი არსად არ ცდილობს, რომ შეგაყვაროს თავისი პერსონაჟი, პირიქით, შეულამაზებლად და თავისთვის დამახასიათებელი სისასტიკით გიყვება ისტორიებს, დასცინის კიდევ მთავარ პერსონაჟებს და არა მარტო მთავარ პერსონაჟებს, დასცინის იმდროინდელ საზოგადოებასაც, რომელიც თითქოს უნდა შეცვლილიყო, მაგრამ ეჭვი მაქვს, სულ არაფერი შეცვლილა. ავტორი არ ერიდება თამამ სცენებს, ძალიან ნატურალისტურად არის გადმოცემული სექსის სცენები და სხვა უამრავი ამბავი პერსონაჟების ცხოვრებიდან. ხშირად შეიძლება გულით შეგეცოდოთ ისინი, ძალიან ბევრჯერ შეგძულდებათ კიდევ, ძალიან ბევრ საქციელს ვერ მოუწონებთ და თავს მარტო იმიტომ დაიმშვიდებთ, რომ წიგნია, გამოგონილი პერსონაჟები, მიათრევთ ბოლომდე და დაივიწყებთ მათ არსებობას, ჰოდა ზუსტად მანდ შევცდი მეც და ზუსტად ეს მგონია რომანის მთავარი დადებითი მხარე, ტყუილად გგონიათ, რომ რამეს დაივიწყებთ, პირიქით, გაგახსენდებათ ადამიანები თქვენი წარსულიდან, ვისაც კი ჰქონია ნარ-

კოტიკების პრობლემა, გაგახსენდებათ ყველა ის, ვის მიმართაც გულგრილი ან ხშირად უსამართლო იყავით.

ვფიქრობ, ამ რომანის ჩვენს ენაზე არსებობა ძალიან დროული და საჭიროა ქართული საზოგადოებისთვის, ჩვენ ხომ იმ სოციალურ ვცხოვრობთ, სადაც ნარკომანია დემონიზებული თემაა, სადაც ნარკომანები ძირითად ღმერთის ხელიდან გადმოვარდნილ უღირს ადამიანებად მიიჩნევიან, რომლებმაც თავიანთ სიამოვნებაზე ვერაფრით თქვეს უარი და ხშირად ძალიან დაუნდობლები ვართ მათ მიმართ. აი, ზუსტად ეს რომანი დაგვანახებს, რა რთულია ამ სიამოვნებაზე უარის თქმა, დაგვანახებს, მართლა არის თუ არა ამ ადამიანებისთვის ეს სიამოვნება და დაგვანახებს იმასაც, როგორ რეაგირებენ ამაზე სხვა, ჩვენზე უფრო განვითარებული ქვეყნები, როგორი დამოკიდებულება აქვთ ამ პრობლემის მიმართ და რა გზები ესახებათ მის დასამარცხებლად.

აღსანიშნავია თხრობის მრავალფეროვნებაც, რომანი ექვს ნაწილადაა დაყოფილი, თითოეული ნაწილი ხუთიდან ათამდე თავისგან შედგება, ყოველ თავს სხვადასხვა მთხრობელი ჰყავს და დარღვეულია სიუჟეტური ქარგა, ავტორი ფრაგმენტულად ყვება ისტორიებს პერსონაჟების ცხოვრებიდან, რაც ცოტა არ იყოს დამაბნეველია, თავიდან ძალიან გამიჭირდა სიუჟეტს დავწოდი, ვერ ვარჩევდი პერსონაჟებს ერთმანეთისგან, მაგრამ მერე და მერე ყველაფერი დალაგდა, გამოიკვეთა სხვადასხვა პერსონაჟის თხრობის თავისებურება, ადვილი გახდა რენტონისა და სხვა მთხრობელების ერთმანეთისგან გარჩევა, გამარტივდა სიუჟეტის აღქმაც და ეს პროცესიც, დარწმუნებული ვარ, ძალიან სასიამოვნო იქნება მკითხველისთვის, როცა შენ თვითონ ცდილობ,

ნაგლეჯებისგან ერთი მთლიანი ააწყო, ავტორის დაუხმარებლად.

ზემოთ აღნიშნული მეტწილად მთარგმნელის, თამარ ჯაფარიძის დამსახურებაა, რომელმაც კიდევ ერთხელ გვიჩვენა თავისი შესაძლებლობები. რომანი ორიგინალის ენაზე ძალიან რთულად იკითხება, გამოყენებულია იშვიათი შოტლანდიური დიალექტი, წიგნი საკმაოდ შოტლანდიური და ინგლისური ჟარგონული გამოთქმებით და ამ ყველაფრის ქართულ ენაზე გადმოტანა და ჩვენი ენისთვის მორგება ძალიან კარგად მოახერხა მთარგმნელმა, თარგმანი საკმაოდ ოთხმოციანებისა და დღევანდელი დღისთვის დამახასიათებელი ქართული ჟარგონით, რამაც ქართულ თარგმანს ძალიან საინტერესო სახე შესძინა, სადაც იგრძნობა როგორც დრო, რომელშიც მოქმედება ვითარდებოდა და, ასევე, თანამედროვე, ჩვენთვის ახლო და დღევანდულობისთვის დამახასიათებელი სამეტყველო ენა.

ასე რომ, თუ ვინმეს მოგენატრათ დიდი რომანების კითხვა, სადაც პერსონაჟები ყოველი მხრიდან არიან ნაჩვენები, მოგენატრათ ამბები, რომლებიც ერთდროულად განერვიულებთ და გაბრაზებთ, მოგენატრათ მძაფრი შეგრძნებები, ისტორიები, რომლებიც არასდროს დაგტოვებთ, წაიკითხეთ „ჩნერკეთელაობა“ და მიჰყევით პერსონაჟებს, რომლებმაც შემოთავაზებებზე უარი თქვეს, რომლებმაც არ აირჩიეს განვადებების გადახდა, სარეცხი მანქანები, ავტომობილები, არ აირჩიეს ნაგავი პროდუქტებით მუცლის ამოყრვა, სიბერით გახრწნა – ცხოვრება არ აირჩიეს და ცდილობენ, სხვა არჩევანით იცხოვრონ, განაჩენი თქვენთვის მომინდია, თქვენ გადაწყვიტეთ, სიბრალულს იმსახურებენ თუ სასტიკ სიძულვილს.



დინო ბუცატი
თათრების უდაბნო

დინო ბუცატი

თათრების უდაბნო

მთარბმნელი: მადონა ბოკუჩავა

გამომცემლობა „დიოგენე“

ჩვენ ყველასა გვაქვს ჩვენ-ჩვენი თათრების უდაბნო, ოღონდ ხანდახან არ ვიცით ხოლმე, მაგრამ თუკი ეს წიგნი, დინო ბუცატის „თათრების უდაბნო“ ჩაგვიარდება ხელში და ხელში ჩავარდნის მერე წაიკითხავ, მხოლოდ უნდა დაიწყო, მერე ვერც კი გაიგებ როგორ დაამთავრებ, თავისით წაგაკითხვს თავს, და მოკლედ, როცა წაიკითხავ, მე მგონი აუცილებლად დაფიქრდები უნებლიედ თუ ნებით საკუთარ თათრების უდაბნოზეც, საკუთარ იმედზეც, საკუთარ მირაჟებზე და ალბათ იპოვნი კიდევ შენს ოცნებებს, ცხოვრებისთვის აზრის მისაცემად რომ მოგიგონია, თუ გასახალისებლად, თუ სულ ერთია.

კენ ლოუჩს აქვს ნათქვამი, რომ კინო გასაოცარი და ამალელებელი რამაა, რომელსაც შეუძლია დაგვანახოს ფანტაზიის სამყარო და ამ ფიქციით გვაჩვენოს რეალობა, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ. იგივე შეიძლება ითქვას ლიტერატურაზეც და „თათრების უდაბნოც“ – ესაა ფიქცია, რომელიც ამავდროულად არის ძალიან დიდი სიმართლე ჩვენზე. ესაა ამბავი დაკარგულ სიცოცხლეზე, დროზე, ჩვენს ილუზიებისგან სიბრმავეზე. ამბავი იმედზე, იმედით ავადმყოფობაზე, ამბავი არაფერზე და ამ არაფერში იმედის შეთხზვაზე, ამბავი მოგონილ იმედზე.

ჰოო, ასეა, როცა არაფერია, როცა ცოტაა ის ყველაფერი, რასაც ცხოვრება გაძლევს, როცა უფრო მეტი გინდა, ისლა დაგრჩენია, ადგე და იმედი შეთხზა, თორე გაგიჟდები.

...და ამბავი, როგორც სულ სხვა წიგნის შესავალშია, თუ როგორ ვირჩევთ ყველანი მხოლოდ იმ გზას, რომელიც ჩვენი აზრით ბედნიერებისკენ მიგვიძღვის და გახარებულებს გზაზე მიგვაქვს ერთადერთი საზრდო – იმედი. მაგრამ იწყება მგზავრობა, თანდათანობით უკან გვრჩება, თანდათანობით ილევს გზა და მასთან ერთად ჩვენი იმედიც, რადგან ის, რასაც გზაში ვხვდებით, ყველაფერია, ბედნიერების გარდა. უკან მოხედვასაც ვერ

ვასწრებთ, რომ გაზაფხულის სიმწვანეს, საიდანაც ჩვენი მოგზაურობა დაიწყო, შემოდგომის სიყვითლე, ჭკნობა და დაღლილობა ცვლის, და ბოლოს, თავადაც დაღლილნი, დაქანცულნი და გამოფიტულნი გრძნობებისგან, ემოციებისგან, სულ ყველაფრისგან, ვეცემით გზის პირას, რომელსაც თურმე არც ბოლო და არც დასაწყისი არა ჰქონია და რომელზეც მუდამ ერთი კაცი მივდიოდით.

რატომ მოხდა ასე? გზის დასაწყისი ისეთი მომხიბლავი და იმედის მომცემი იყო. პასუხი მარტივია – გზა შეგვეშალა.

მაგრამ არსებობს კი სწორი გზა? იქნებ ასეთი არის ცხოვრება უსსოვარი დროიდან? ვინ იცის, ალბათ. მაგრამ იმედის მარცვალი, სადღაც გულის სირღმეში მაინც არის, რომ... რომ, ეკ.

კიდევ ერთ სულ სხვა წიგნში, სულ სხვა დროში, სადღაც კრეტაზე, დედალუსი ამბობს ერთ პატარა სიმართლეს, რომელიც აქ, „თათრების უდაბნოში“ გრძელდება, რომ ჩვენ, ყველანი, ბრმად და გულუბრყვილოდ ვიწყებთ ცხოვრებას და მერე, როცა გონებაში ვადარებთ, როცა საბოლოოდ გვეხილება თვალი, აღარ მოგვწონს და გვეშინია მისი და მხოლოდ მაშინ გვახსენდება ის რაღაცები, რასაც გვერდით ჩავუარეთ და არც შეგვიმჩნევიაო. გვახსენდება დრო, რომელიც დაიკარგა სიბრმავეში, გვახსენდება სახლი, საიდანაც დავიწყეთ ბრმად სიარული, მაგრამ უკან დაბრუნება შეუძლებელია, რადგან აღარ გვახსოვს, სად დაიწყო ჩვენი ცხოვრება, რომელიც საერთო ცხოვრებაში აირია და აითქვიფა და აღარც დასაწყისი აქვს და აღარც დასასრული. ჩვენ თავგზა აგვეზნა უსასრულო ლაბირინთებში ხეტიალით და თანაც ჩვენი სურვილისამებრ კი არ ვმოძრაობთ, არამედ მოძრაობის აუცილებლობა გვერეკება თავის ნებაზე, ხოლო მოძრაობის აუცილებლობას შიშისა და

უმწეობის თესლის მარცვალი იწვევს, რომელსაც იმედი ჰქვია. იმედი თავის მართლებაცაა და მოტყუებაც, ერთიცა და მეორეც დიდი ვერაფერია და ვერც ვერაფერში გვენმარება, უბრალოდ ახანგრძლივებს, ჩვენთვისაც მეტ-ნაკლებად ასატანს ხდის თავის მშობლებს: შიშსა და უმწეობასო.

ჰო, აი ასე ლაპარაკობდნენ უხსოვარ დროში, სადღაც კრეტაზე და ასე ლაპარაკობს ეს ამბავიც, ლეიტენანტ ჯოვანი დროგოზე, ანუ ის სიტყვები, დიწხ ბუცატი რომ ამბობს, „და ასეა უხსოვარი დროიდან“, მართალია. თუმცა ესაა ამბავი იმაზეც, რომ იმედი დაუღვეველი საბადოცაა იმ ენერგიისა, რომელსაც ცხოვრებაში უთავბოლო ხეტიალისას ვხარჯავთ. რით დამთავრდა ჯოვანი დროგოს ხეტიალი? რით მთავრდება ჩვენი ხეტიალი? არაფრითაც არ მთავრდება, „არც თავი აქვს და არც ბოლო, მისი თავი იგივე ბოლოა, ბოლო – იგივე თავი.“ და ასეთია ცხოვრება უხსოვარი დროიდან.

და კიდევ, ალბათ, ესაა ამბავი, რომელიც გეუბნება, – თვალეები გაახილე, არ მისცე სიცოცხლეს უფლება თვალწინ ჩაგიაროს, უშენოდ გავიდეს, მიილიოს, მირაჟის ყურებაში, შეთზული იმედის მოლოდინშიო.


მაგრამ რისთვის იცხოვრო? იქნებ ზოგჯერ ცხოვრებას მოგონილი იმედი სჯობს? ვინ იცის, ვინ იცის.

მაგრამ ეს წიგნი ამბობს, რომ გინდა-არგინდა ჩვენ ყველასა გააქვს ჩვენ-ჩვენი იმედის მარცვალი, ჩვენ-ჩვენი თათრების უდაბნო, რომელითაც, რომლისთვისაც ვცხოვრობთ, არა ჩვენ ყველასი არ ვიცი, მაგრამ ჯოვანი დროგოს ჰქონდა. ვინც ბოლოს მიხვდა, ერთადერთი ნამდვილი ომი, ნამდვილი ბრძოლა, ესაა სიკვდილთან ბრძოლა, იმასაც მიხვდა, რომ მას ვერასოდეს აჯობებ და ზუსტად ამ მიხვედრით აჯობა დროგომ ცხოვრე-

ბას, თუმცა კი ბოლოს, მაგრამ მაინც აჯობა სიმშვიდით და შიშის გარეშე, აჯობა აი, იმ ყველაფრის მიხვედრით, რაც ზევით ვილაპარაკე.

ვილაცას შეიძლება სიზიფეც გაახსენდეს, მაგრამ არა, ეს სულ სხვა ამბავია, სულ სხვა. ეს ამბავი უფრო იმას ჰგავს, ვისკონტის ერთ ფილმში რომ ამბობს ბოგარდი – „ქვიშის საათს რომ უყურებ, ხვრელი, რომელშიც ქვიშა იყრება ისეთი პატარაა, რომ... რომ თავიდან გეჩვენება, ქვიშის დონე მინის ზედა ნაწილში არ იცვლება. ჩვენი თვალი ქვიშის ჩამოყრას მხოლოდ ბოლოს აღიქვამს... მანამ კი, ამაზე არც ფიქრობს... ქვიშა რომ უკვე ჩამოიცილა, ხვდება უკანასკნელ წამს, როცა დრო აღარ არის, ფიქრისთვისაც კი, როცა ყველა მარცვალი ჩამოვარდნილია...“ და დიახ, ასეა, ამას ამბობს „თათრების უდაბნოც“, ჩვენი დროც ასე გადის, შემწინეველად, სულ გვეგონია, რომ ბევრი დაგვრჩა, სულ გვეგონია, რომ წინ კიდევ რაღაცაა და მივდივართ ამ უცნობი მოჩვენებისკენ, ცხოვრება კი გვერდით გვივლის და როცა უკვე ხვდები, რომ დრო გადის, რომ ცხოვრება ადრე თუ გვიან აუცილებლად დამთავრდება, უკვე გვიანაა, უკან ვეღარ დაბრუნდები, უბრალოდ შეგიძლია უკან მიიხედო და ნახო, „რომ ყველაფერი კარგი შორს, წარსულში დარჩა, შენ კი ისე ჩაუარე, რომ ვერც კი მიხვდი.“ ახლა კი შენ უკვე იმ ადგილას ხარ, სადაც გზა მთავრდება „ტყვიისფერი ზღვის სანაპიროზე, ერთფეროვანი ნაცრისფერი ცის ქვეშ; ირგვლივ არაფერი იქნება: არც სახლი, არც ადამიანი, არც ხე, ბალახის ღერიც კი არ იქნება. და ასეა უხსოვარი დროიდან.“

ერთი კია, გმირობა გვინდა, რაღაც დიდი, ზღვარს მეტისმეტად მაღლა ვავლებთ, არადა უბრალო ადამიანები ვართ, რომლებსაც გადარჩენა გვჭირდება.



ჟან-მარი გუსტავ ლე კლეზიო აფრიკელი

მთრგმნელი: დალი იაშვილი

უოლე შოინკა აკე ბავშვობის წლები

მთრგმნელი: მაია ჯიჭიშვილი
გამომცემლობა „ინტელექტი“



1952 წელს, შვედეთის სამეფო აკადემიამ ნობელის პრემია მშვიდობის დარგში მიანიჭა ადამიანს, რომელმაც თავისი ცხოვრების 50 წელი აფრიკის მოსახლეობაზე ზრუნვას მოახმარა. უკვე აღიარებულმა ფილოსოფოსმა და მუსიკოსმა, ალბერტ შვაიცერმა ოცდაათი წლის ასაკში ევროპა დატოვა და აფრიკაში, მდინარე ოგოვეს ნაპირზე, ლამბარენეში დასახლდა. კოლონიზაციის სიმძიმით დატრფუნულ და ღვთისა და კაცისაგან სრულიად მიტოვებულ ამ გარემოში შვაიცერი ადგილობრივებს ყოველდღიურობას უმსუბუქებდა, შვებებს ჰგვრიდა და სწეულთა და დავროდომილთ მკურნალობდა.

დიდი ჰუმანისტის ამ სულისსმემძვრელ ცხოვრებას თითქმის იმეორებს ჟან-მარი გუსტავ ლე კლეზიოს ავტობიოგრაფიული რომანის – „აფრიკელის“ – მთავარი გმირი. რომანი მწერალმა საკუთარ მამაზე დაწერა. და მამაზე, რომელმაც 30 წლის ასაკში სრულიად გაწყვიტა კავშირი ჩვეულ გარემოსთან – ევროპასთან და ნიგერიაში დასახლდა. ის იყო ერთადერთი ექიმი ოგოუას უზარმაზარ ტერიტორიაზე და ათასობით ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვაც მისი ვალი და ტვირთი ყოფილა. ორი ათეული წელი უმკურნალა კეთრიტა და მალარიით დაავადებულ ადამიანებს და კოლონიზაციისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლასაც დიდი ენერგია შესწირა.

ლე კლეზიომ პირველად მამა რვა წლისამ ნახა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, გაჩანაგებული და დანგრეული საფრანგეთიდან დედასთან და ძმასთან ერთად გამგზავრებულა მის სანახავად.

რომანის ავტობიოგრაფიული შტრიხები თავისებურ ინტიმს ანიჭებს თნობას და მწერალი მოგვითხრობს იმ პირველი განცდების შესახებ, რო-

მელიც აფრიკასთან შეხვედრისას და „შეხებისას“ გაუჩნდა. „აფრიკა უფრო სხეული იყო, ვიდრე სახე“ – წერს ავტორი გემიდან ჩამოსვლისთანავე განცდილ პირველ შთაბეჭდილებას. ამ შეგრძნებებიდანვე შემოდის მის თვალსაწიერში ახალი სამყარო და ეს შემოსვლა კი არაა მხოლოდ, არამედ უფრო ურთიერთშეღწევადობა. ყმაწვილს აკვირვებს იქაურობის ნაირგვარობა, სხეულთა მრავალფეროვნება და ის „ურცხვობა“ შიშველი ქალების შიშველი სხეულებიდან, მათი ზურგების ბზინვარების, კანის სუნის, სიმსუბუქისა და სითბოსგან რომ მოედინება.

ომს, შიმშილობას და ჩაკეტილობას თავდაღწეული ბავშვი აფრიკაში ნანატრ თავისუფლებას პოულობს და სულ მალე, ნიგერიელ ბიჭებთან ერთად ფეხშიშველი დარბის მდინარე ეიას წითელ დაბლობზე. რამდენადაც ახლობელი და მომხიბვლელია მისთვის აფრიკა, იმდენად შორეული და მიუღწეველია მამის უხეშობამდე მისული ავტორიტეტულობა.

64 წლის ლე კლეზიო „აფრიკელის“ წინასიტყვაობაში წერს:

„ყოველი ადამიანი მამისა და დედის ანარეკლია. შესაძლოა არ ვაფასებდეთ მათ, არ გვიყვარდეს; შესაძლოა ეჭვის თვალითაც ვუყურებდეთ, მაგრამ ისინი აქ არიან, თავიანთი სახით, პოზით, მანერებით და ახირებებით, ილუზიებით, იმედებით, ხელის ფორმითა და ფეხის თითებით, თვალისა და თმის ფერით, ლაპარაკის მანერით, ფიქრებით, გარდაცვალების საგარაუდო ასაკით, ეს ყველაფერი კი ჩვენშია გავლილი“.


აფრიკელი არის ერთგვარი მცდელობა, ზრდასრული ადამიანის პერსპექტივიდან წარსულის გადახედვისა, რადგან მწერალი წუხს, რომ ვერ შეიყვარა მამის პიროვნება. ავტორმა

ამ რომანით ერთგვარად გადაამოწმა საკუთარი სიღრმისეული განცდები და სცადა ობიექტურად და სამართლიანად შეეფასებინა მამა.

აფრიკას კიდევ ერთი ნობელიანტის ბიოგრაფია უკავშირდება – იორუბის ტომში დაბადებული უოლფ შოინკასი, რომელიც ქრისტიანმა მშობლებმა გაზარდეს, თუმცა, პაპისგან სპირიტუალური ტრადიციებიც შეისწავლა და მოგვიანებით, თავის შემოქმედებაში დასავლეთაფრიკული ფოლკლორი და რელიგია ქრისტიანობის ელემენტებს შეუზავა. შვაიცერის მსგავსად, შოინკაც ჰუმანისტია და ისიც აქტიურად გამოდიოდა კოლონიალიზმისა და ნეგროფილიის წინააღმდეგ. მის ავტობიოგრაფიულ რომანში „აკე – ბავშვობის წლები“ მწერალი გვიყვება 1934-1945 წლების აფრიკული ყოველდღიურობის, ბავშვის თვალთი დანახული და მის მიერ აღქმული დრამატული მოვლენების, თავგადასავლებისა და მოგონებების შესახებ. მწერალი ასევე ხაზს უსვამს განათლების მნიშვნელობის საკითხს.

ბავშვობისდროინდელი იმპრესიების და ცოცხალ ბუნებასთან ურთიერთობის დამსახურებით, ორივე ნობელიანტი მწერლის ლიტერატურა გამოირჩევა მხატვრული და პოეტური სახეებით, მეტაფორების სიუხვით, ლირიკულობით.

ლე კლეზიოსა და შოინკასთვის შავი კონტინენტი მთელი თავისი იდუმალებით, ველური გარემოთი და მრავალფეროვნებით ინსპირაციის წყარო აღმოჩნდა.



მაიკლ კეი ცხოვრება და დროება

მთარგმნელები: თამარ ბაბუაძე, ნია ბერაძე
ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

ჩემი ლალი, ჭკუამხიარული და ონავარი მეგობარი გოგო-ბიჭები რომ ჩამოვსხდებით და ცხრა მთას იქით დატრიალებული ამბებითაც მოვიფხანთ ენას, ხშირად ომზე ვიწყებთ საუბარს; იმ ომზე, რომლისაც ძალიან გვეშინია. არარსებულ ომზე, რომელიც გვგონია, რომ სულ სადღაც ჩასაფრებულია და ჩვენი ახალგაზრდული, სულელური ბედნიერების შურს. განა ბევრი ომი მინახავს! თორმეტი წლის თუ ვიქნებოდი, აგვისტოს ომი რომ დაიწყო, მაგრამ იმდროინდელი ერთი მოგონება დღემდე ვერ ამოვიგდე გონებიდან: ომის პერიოდში მთვრალმა მეზობელმა ტყვია რომ გაისროლა ეზოში, მე კი ისედაც შეშინებულმა ტელევიზორში მოსმენილი ამბებით, ნელა, ძალიან ნელა ჩავისველე და ხის იატაკზე არც მთლად ჩემი შიშისხელა, მაგრამ მაინც საკმაოდ დიდი გუბე დავაყენე. იმის მერე ომს ჩემთვის იმ თბილი, ყვითელი და მძიმე შარდის სუნი აქვს, ჩემი საყვარელი საზაფხულო ფერადი შორტი რომ გამიფუჭა.

ბევრი რამ წაგვიკითხავს, მოგვისმენია თუ გვინახავს იმ მრავალ საშინელებაზე, რაც ომს დაუტრიალებია: გაუპატიურებული ქალები, დახოცილი ბავშვები, დაქვრივებული ცოლები თუ შვიერი და ნატანჯი ჯარისკაცები. ყველაფერი ისეა, თითქოს ომზე ახალს ველარაფერს მოჰყვები და ვერც ვერავინ გეტყვის რამე განსხვავებულს. სწორედ ამ განწყობით დავიწყე ჯონ მაქსველ კუტზეს წიგნის, „მაიკლ კეის ცხოვრება და დროების“ კითხვა, მაგრამ პირველივე აბზაციდან გუმანით ვიგრძენი, რომ მოლოდინები უნდა შემეცვალა...

წიგნი იწყება დაბადებით. სამხრეთ აფრიკის ქალაქ კეიპ-თაუნში სამყაროს მოველინება კიდევ ერთი ჩვეულებრივი ბავშვი, ან არაჩვეულებრივი, როგორც სხვები იტყვიან – მაიკლ კეი ხომ კურდღლის ტუჩით დაიბადა. ეს დამახასიათებელი ფიზიკური ნიშანი მაიკლ კეის ცხოვრების ბოლომდე დამლას დაასვამს, ხალხს მისი ყოველთვის შეეშინდება, შეეზიზღება ან საუკეთესო შემთხვევაში შეეცოდება. ამის გამოისობით ის ისწავლის კოლექტიური აზროვნებისგან დამოუკიდებელ ფიქრს, პირადი ღირებულებების მეტად დაფასებასა და სამყაროს უკეთ შეცნობას. თხრობის ერთ მონაკვეთში, როცა მაიკლი უკვე 31 წლისაა, „ფიზიკური ნაკლის“ გამოსწორებას შესთავაზებენ ქირურგიული ჩარევით, თუმცა ის მტკიცე უარზეა, რადგან იცის, რომ ცვლილებები არ სჭირდება – უნდა, ისეთივე დარჩეს, როგორიც არის.

მაიკლ კეი მებაღეობას შეიყვარებს. მან იცის, რომ მცენარეები დედამიწის ისეთივე შვილები არიან, როგორიც ადამიანები; მათაც სჭირდება მოვლა, ყურადღება და მზრუნველობა, ოღონდ სანაცვლოდ არაფერს ითხოვენ, არაფერს გემდურიან, პირიქით – თავიანთი ყველაზე ჯანსაღი ნაყოფითაც კი გამარაგებენ. ამიტომაც დაუახლოვდება ყველაზე მეტად კეი მცენარეებს, სამსახურსაც იშოვის და ქალაქის ფლორაზე იზრუნებს, სანამ აპართეიდის საშინელი განუკითხაობა მთელ ქვეყანას არ მოიცავს და მაიკლიც სამსახურს არ დაკარგავს.

სიმართლე რომ ითქვას, მაიკლ კეის ბევრი არაფერი გაეგება ქვეყანაში მიმდინარე სამხედრო მოვლენებისა.

მხოლოდ ერთი იცის, რომ სამსახური დაკარგა და ავადმყოფ დედას მშობლიურ ფერმაში სურს დაბრუნება. იმის ფონზე, რომ ქალაქიდან გამავალი ყველა სატრანსპორტო გზა სამხედროების მიერ კონტროლდება და ნებისმიერი ტრანსპორტით მგზავრობა შეზღუდულია, დედა-შვილს კი ქალაქში აღარ დაედგომება, მაიკლ კეი გადაწყვეტს, თვითონ შეაკეთოს ერთი უხეირო ურიკა, შიგ ჩასვას ავადმყოფი დედა და ასობით მილი ასე ხელით გაატაროს, რათა ერთადერთ ახლობელ ადამიანს სიკვდილის წინა ოცნება აუსრულოს.


მთელი მოგზაურობის განმავლობაში კეის მრავალი დაბრკოლება შეხვდა, ათას შარში გაეხვა და ორი ამდენივე უბედურება დაატყდა თავს, მაგრამ ყოველთვის, როცა კი წარმოიდგენდა ადგილს, საითკენაც მიეშურებოდა, სხვა ყველაფერი კარგავდა აზრს. ფერმა ხომ ის ჯადოსნური ადგილია, სადაც ყველაზე ნოყიერ ნიადაგში სულ მარტივად მოიყვანდა ბოსტნეულს, გაახარებდა ხილს და იქნებ რამდენიმე შინაური ცხოველიც ეშოვა მოსავლელად.

ამის მიუხედავად, მაიკლ კეის ხან იძულებით მუშად გააწესებენ, ხან აჯანყებულად მონათლავენ, ხანაც დაზარალებულად ცნობენ და თავშესაფარს შესთავაზებენ. მაიკლ კეი ვერაფერს ხვდება და არ ესმის, რას ითხოვენ მისგან. მან არ იცის, რა არის ომი და ამ ომის ხმაურით რატომ შეიშალნენ ადამიანები, რას ერჩიან მას და უბრალოდ რატომ თავს არ ანებებენ. მას ხომ ერთი პატარა, ძალიან პატარა სურვილი აქვს – იცხოვროს თავისთვის დედამისის მშობლიურ ფერმაში და საკუთარი ოფლით მოიპოვოს მოსავალი. არა,

კეის არ სჭირდება ომის სახელით შეთავაზებული თავშესაფარი, სამუშაო თუ საკვები, რადგან მას შეუძლია იმით გაიტანოს თავი, რასაც სამყარო სთავაზობს – უსისხლო სარჩო, რომელიც დედამიწის წიაღიდან გამოაღწევს, ნელა წამოიზრდება, აყვავილდება და ნაყოფს მოისხამს.

ეს წიგნი ერთი დიდი ოდისეა კაცისა, რომელიც ერთგულია თავისი ადამიანობის, ღირებულებებისა და ოცნებების, რომელთაც გულით მუდამ თან დაატარებს, ან ჯიბით – ნესვისა და გოგრის თესლის სახით, რომელთაც ერთ დღეს აუცილებლად უნდა გაიხარონ. ამ ამბავს სამხრეთ აფრიკელი მწერალი ჯონ მაქსველ კუტხეე თავისი ერთი შეხედვით მშრალი წერის სტილით ყველაზე გულახდილ, გულწრფელ ისტორიად აქცევს, სადაც მკითხველს არ აწუხებს ყალბი პათოსის გრძნობა, ფამილარული ემოციების მოზღვაება და გადამტკბარი წინადადებების სიხშირე – ამ წიგნში ყველაფერი ზომიერედაა, მიუხედავად მასში აღწერილი უსამართლობის ზღვარგადასულობისა.

1983 წელს მწერლის ამ რომანმა ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული პრემია „ბუკერი“ მიიღო და ამით ეს ნაწარმოები, ალბათ, სათანადოდაც დაფასდა. ჩემი მხრივ კი, ვიცი, რომ ოდესმე, სადაც უნდა ვიყო, მექნება საკუთარი მიწა, სადაც მოვიყვან ბოსტნეულს, ავიღებ მოსავალს, საუკეთესო ნაყოფთაგან შევინახავ თესლს, დაველოდები მომდევნო გაზაფხულს და ისევ ახალ მოსავალს მოვიმკი. და ამ ყველაფერს გავაკეთებ მხოლოდ მაიკლ კეის სახელით, მისი აუზღენელი ოცნებების პატივსაცემად.



გიორგი ბულაძე
200 საბჭოთაო მხატვრობაზე
გამომცემლობა „არტანუჯი“

ხელოვნების ცოდნა დიდი საქმეა, რადგან ადამიანის სულის სიდიადე მკაფიოდ სწორედ ხელოვნებაში იკვეთება.

თამაზ ჭილაძე

გია ბულაძის „200 ამბავი მხატვრობაზე“ გამომცემლობა „არტანუჯის“ ახალი სერიის – „თან საკითხავის“ პირველი წიგნია. სერია მკითხველს სთავაზობს სხარტად დაწერილ წიგნებს, რომელთა წაკითხვაც ნებისმიერ სიტუაციაში, ნებისმიერი გვერდიდან შეიძლება. კრებული ორას მცირე ესეს აერთიანებს, რომელშიც მხატვარი გვიყვება მსოფლიოში ცნობილი ფერმწერებისა და მოქანდაკეების, ასევე იმ ხელოვნების შესახებაც, რომლებსაც პირადად იცნობდა.

წიგნის თემატიკა მრავალფეროვანია. აქ შეხვდებით იმპრესიონისტებს, ძველ ოსტატებს, სიურრეალისტებს, აბსტრაქტული ხელოვნების „გურუებს“, კუბისტებს, და, რა თქმა უნდა, მოდერნისტებსაც. მოყვანილი და განხილულია ყველა სტილი, მიმდინარეობა, პერიოდი და ჟანრი. ჩანაწერები ქრონოლოგიური სულაც არაა და ამ გზით გია ბულაძე ხან ერთ ეპოქასა და ქვეყანაში გვამოგზაურებს, ხანაც – მეორეში; მსოფლიოს საუკეთესო მუზეუმებში დავატარებს და იმის შესახებ გვიყვება, თუ რა ფასს იხდიდნენ მხატვრები და მოქანდაკეები უკვდავებისთვის, რა მსხვერპლზე მიდიოდნენ თავიანთი გენიალური ნამუშევრების შესაქმნელად, თან მარჯვედ აქსოვს სხვადასხვა მუზეუმში მის თავს გადამხდარ სახალისო თუ სევდიან ამბებს და ამგვარად წიგნს ხელოვნების მოყვარული ადამიანების ახდენილ ოცნებად აქცევს.

თუმცა, რა თქმა უნდა, წიგნი მხოლოდ მოყვარულებისთვის არ არის განკუთვნილი. ხელოვნებათმცოდნეებისთვის ის შეიძლება ძალიან განსწავლულ, საქმის კარგად მცოდნე კაცთან საუბარი იყოს, სტუდენტებისთვის შესანიშნავი ლექციების ციკლი, ახალგაზრდა მხატვრებისთვის – მასტერკლასი და, როგორც დღეს იტყვიან – „ვორკშოპი“ უფრო გამოცდილი კოლეგისგან, ყველა დანარჩენისთვის კი – დიდოსტატთა სამყაროში სასიამოვნო მოგზაურობის, ზოგი საიდუმლოსთვის ფარდის ახდის და ცოდნის გაღრმავების შესაძლებლობა.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ჩანაწერები ქართველ მხატვრებზე. გია ბულაძე ზოგ ადგილას კრიტიკულია, უმეტესად კი ის დიდი სიყვარულითა და მონდომებით გვიყვება ნაკლებად ცნობილ ამბებს ქართველ ხელოვანთა ცხოვრებიდან, რომლებთანაც ნაცნობობა აკავშირებდა. მკითხველი გაეცნობა ამბებს ირაკლი ფარჯიანისეულ – გენიოსებისთვის დამახასიათებელ – წინათგრძნობისა და საქართველოს პირველი რესპუბლიკის გერბის შემქმნელის – იოსებ შარლემანის შესახებ. გაიგებს რა აჩუქა იაკობ ნიკოლაძეს როდენმა, როგორი დამოკიდებულება ჰქონდა ერთ-ერთ „თვითმფრინავის ბიჭს“ – სოსო წერეთელს „კაგებეს“ მიმართ, ვინ ესმარებოდა ფინანსურად გიგო გაბაშვილს, ვინ იცავდა მხატვრებს ბერიას წინაშე, სინამდვილეში რაში გაფლანგა თავისი ქონება ნიკო ფიროსმანმა, როგორ

იქმნებოდა თავად წიგნის ავტორის ტილოები და კიდევ ერთხელ დარწმუნდება, რომ ქვეყნის ნამდვილი ისტორია უპირველესად სწორედ ხელოვნების ნიმუშებში ჩანს.

ამა თუ იმ მხატვარსა თუ რაიმე ტილოს გია ბულაძე შესაბამისი ეპოქის ალწერის ფონზე გვაცნობს. გამოცემის ფურცლებზე არაერთი გენიალური მხატვრის ნამუშევარი „ბინადრობს“, რომლებიც ვისურვებდი, რომ ფერადი ყოფილიყო, რაც გია ბულაძის ჩანაწერებთან ერთად განსაკუთრებულ ხიბლს შესძენდა წიგნს.

საინტერესო ამბები, ჩამთრევი თხრობა, მარტივი ენა და პატარა ჩანაწერებში ჩაწურული დიდი ისტორიები ამ გამოცემას ნამდვილად უნიკალურს ხდის. ყოველთვის ძალიან მნიშვნელოვანია პროფესიონალის თვალით დანახული შემოქმედებითი სამყარო, მხატვრის მიერ შეფასებული მხატვარი, მონათხრობი „შიდა სამზარეულოს“ კარგად მცნობისა, რომელსაც პრაქტიკულ დონეზე ესმის ამა თუ იმ ნამუშევრის შექმნის ტექნიკა და მიმდინარე კულტურული პროცესების აქტიური მონაწილეა. ასე რომ, ეს წიგნი ამ მხრივაც ნამდვილი შენაძენია ხელოვნებით დაინტერესებული ადამიანებისთვის.



საქართველოს
წიგნის გამომცემელთა
და გამავრცელებელთა
ასოციაცია

საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია

2017